წარმოების პროცესის გლობალური ფრაგმენტაციის თავისებურებები თანამედროვე ბიზნესში

შოთა შაბურიშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
shota.shaburishvili@tsu.ge

https://doi.org/10.35945/gb.2018.05.026

საკვანძო სიტყვები: წარმოების ფრაგმენტაცია, ვერტიკალური ინტეგრაცია, აუთსორსინგი, მომღიმარი მრუდი

შესავალი

გლობალიზაციის პირობებში ინფორმაციულ და საკომუნიკაციო სფეროში მომხდარმა რევოლუციურმა ცვლილებებმა, ასევე რეგიონული ინტეგრაციული პროცესების გააქტიურებამ ხელი შეუწყო წარმოების პროცესის გლობალური მასშტაბით ორგანიზებას. თანამედროვე საერთაშორისო ბიზნესში ერთი ქვეყნის ან კომპანიის ფარგლებში წარმოებული პროდუქტების წილი სწრაფად მცირდება. გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საერთაშორისო ვაჭრობის 60 პროცენტი შუალედური პროდუქტებით ვაჭრობაზე მოდის, რომელიც წარმოების პროცესის სხვადასხვა სტადიაზე გამოყენებისთვისაა განკუთვნილი (UNKDAT, 2013). უკვე წარსულს ბარდება ტრადიციული აღნიშვნა ეტიკეტზე – „დამზადებულია კონკრეტულ ქვეყანაში", რადგან თანამედროვე საერთაშორისო ბიზნესში პროდუქტების უმრავლესობა – „დამზადებულია მსოფლიოში" (International Bank for Reconstruction and Developmen, 2017).ამ პროცესის განვითარებას ხელს უწყობს შემდეგი გარემოებები:

1. საწარმოო პროცესის დანაწევრება დიდი რაოდენობის ქვეყნებს შორის, რომელიც დამატებული ღირებულების გლობალურ ჯაჭვებში ერთიანდება. თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში გამარტივდა გეოგრაფიულად დაშორებული წარმოების პროცესის რგოლების დაკავშირება;

2. ქვეყნები და კომპანიები უპირატესად სპეციალდებიან ბიზნესის ცალკეულ მიზნებსა და ფუნქციებზე. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი სპეციალისტი დღესაც მიიჩნევს, რომ საქონელი და მომსახურება კონკრეტულ ქვეყანაში იწარმოება და კონკურენციას უწევს სხვა ქვეყნებში წარმოებულ პროდუქციას, სინამდვილეში საქონლისა და მომსახურების სულ უფრო მზარდი ნაწილი გლობალურ ხასიათს ატარებს;

3. გლობალური ქსელური ორგანიზაციული სტრუქტურების განვითარება, რამაც თანამდროვე საერთაშორისო ბიზნესში შესაძლებელი გახადა დამატებული ღირებულების გლობალური ჯაჭვის სტრუქტურაში შემავალი იურიდიულად დამოუკიდებელი სუბიექტების კოორდინირება და კონტროლი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული კვლევა მიზნად ისახავს წარმოების პროცესის გლობალური ფრაგმენტაციის საკვანძო ტენდენციების ანალიზს და იმ ფაქტორების გამოკვეთას, რომელიც მასში ქვეყნის მონაწილეობის ეფექტიანობის ზრდას უზრუნველყოფს.

წარმოების პროცესის გლობალური ფრაგმენტაციის კვლევის თეორიული საფუძვლები

მიუხედავად იმისა, რომ წარმოების ფრაგმენტაციის თავიებურებები მეცნიერებს საფუძვლიანად აქვთ შესწავლილი, ამ პროცესის საერთაშორისო ასპექტები შედარებით ახალია. ამასთან, თანამედროვე საერთაშორისო ბიზნესში წარმოების პროცესის ფრაგმენტაციის პარალელურად სულ უფრო მეტად შეინიშნება საერთაშორისო ვაჭრობის ინტეგრაციის პროცესი. შესაბამისად იზრდება დამატებული ღირებულების გლობალური ქსელების მნიშვნელობა.

წარმოების ფრაგმენტაციისაკენ მისწრაფებაას ინგლისელი ეკონომისტი ედიტ პენროუზი ნაწილობრივ ხსნის კომპანიის ისეთი გარე კონტრაქტორების არსებობით რომლებსაც სპეციფიკური რესურსები და განსაკუთრებული საკვანძო კომპეტენციები გააჩნიათ (Penrose, 2009). ეს შეხედულება ტრანსაქციული ხარჯების პრობლემების შესწავლით დაინტერესებულმა ეკონომისტებმა განავითარეს. მათი აზრით კომპანიებს აუთსორსინგისაკენ მისწრაფება გაუჩნდებათ იმ შემთხვევაში თუ რომელიმე რესურსი იშვიათად სჭირდებათ, ბუნებრივია, ასეთ დროს მათ არ უღირთ თავად აწარმოონ და ურჩევნიათ სხვისგან შეიძინონ (Langlois, 2002). თუმცა ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ნებისმიერი ხშირად განსახორციელებელი ოპერაციები მხოლოდ ვერტიკალური ინტეგრაციის პირობებში წარიმართება. ქსელური ეკონომიკის მკლევართა ნაშრომების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ფირმების არჩევანზე – განახორციელონ წარმოების ვერტიკალური ინტეგრაცია ან აუთსორსინგი – მოქმედებს ისეთი ფაქტორები როგორიცაა – ნდობა, რეპუტაცია, ურთიერთდამოკიდებულება, ტრანსაქციების სიხშირე, რაც საშუალებას აძლევს კომპანიებს, დაძლიონ ვერტიკალური ინტეგრაციისაკენ მისწრაფებები და შექმნან მსხვილი საწარმოო ქსელები გლობალურ დონეზე (შაბურიშვილი, 2018).

წარმოების პროცესის გლობალური ფრაგმენტაციის კვლევისას განსაკუთრებულ ადგილს მკვლევარები მართვის და კონტროლის პრობლემას უთმობენ. მიმდინარე ეტაპზე შეიძლება ორი ძირითადი მიმართულება გამოვყოთ: ინტერნაციონალიზმი და ინდუსტრიალიზმი. ინტერნაციონალიზმის მიმდევრები წარმოების გლობალურ ფრაგმენტაციას

და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ პროცესებს მაკრო დონეზე აანალიზებენ, ინდუსტრიალიზმის მიმდევრები კი მიკრო დონის ანალიზს ანიჭებენ უპირატესობას. ამასთან, ასეთი დაყოფა პირობითია, რადგან აღნიშნული მიდგომები უმეტეს შემთხვევაში ავსებს ერთმანეთს. ასევე ვხვდებით ამ ორი განსხვავებული სკოლის წარმომედგენლების ერთობლივ პუბლიკაციებსაც. თანამედროვე ეტაპზე აღნიშნული ნაშრომების მიმართ ინტერესი იზრდება, რაც დაკავშირებულია წარმოების გლობალური ფრაგმენტაციის პროცესის მაღალევრისტიკულ ღირებულებასთან, ის სცდება ვიწრო საწარმოო ან დარგის ანალიზის ჩარჩოებს, მისი მეშვეობით შეიძლება აიხსნას ქვეყნის შიგნით და ქვეყნებს შორის შემოსავლების განაწილებაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები.

გლობალური წარმოების სტრუქტურა

თანამედროვე ბიზნესისათვის დამახასიათებელი წარმოების პროცესი მოიცავს შემდეგ რგოლებს: კვლევა და განვითარება, ბუნებრივი რესურსების მოპოვება და დამუშავება, ნახევარფაბრიკატებისა და საბოლოო პროდუქტების წარმოება, დასაწყობება, პროდუქტის განაწილება, კლიენტების მომსახურება. ეს რგოლები შეიძლება თავმოყრილი იყოს ერთ კონკრეტულ კომპანიაში, ან სხვადასხვა კომპანიებს შორის იყოს დანაწილებული. ისევე, როგორც წარმოების პროცესის ფრაგმენტაცია შეიძლება განხორციელდეს ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში, მოიცავდეს ცალკეულ რეგიონს ან გააჩნდეს გლობალური ხასიათი.

სურათზე №1 სქემატურადაა ნაჩვენები საქონლის წარმოების სხვადასხვა ეტაპი. სამეცნიერო კვლევებისა და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ეტაპზე იქმნება არამატერიალური აქტივი, რომელიც გამოიყენება პროდუქტის წარმოების შემდგომ სტადიებზე. წარმოების პროცესის ეფექტური წარმართვა ასევე მჭიდროდაა დაკავშირებული ბიზნესის ისეთი გამჭოლი ფუნქციების შესრულებასთან, როგორიცაა: ხარისხის კონტროლი, მარკეტინგი, ლოგისტიკა და ფინანსური მომსახურება (Meskhia & Shaburishvili, 2015).

წარმოების გლობალური ფრაგმენტაციის პროცესში კომპანია შეიძლება სხვადასხვა პოზიციას იკავებდეს:

1. იმპორტირებული მაკომპლეტებლების აწყობა;
2. სხვა კომპანიებისათვის ნაკეთობების წარმოება, რომელიც მას საკუთარ წარმოებაში გამოიყენებს (Original equipment manufacturing (OEM)). ამასთან, დამკვეთი კომპანია გვევლინება „დამატებული ღირებულების გამყიდველად" (Value added reseller (VAR)). დამატებულ ღირებულებაში გაითვალისწინება უშუალოდ დამკვეთის მიერ გაწეული დანახარჯები – აწყობაზე, მარკეტინგსა და ლოგისტიკაზე;
3. სხვა კომპანიისათვის ნაკეთობების წარმეობა განსაზღვრული სპეციფიკაციით, რომელიც მათ საკუთარი სავაჭრო ნიშნით გაყიდის (Contract manufacturing);
4. სხვა კომპანიებისათვის ნაკეთობების დამოუკიდებელი წარმოება, რომელიც მათ საკუთარი სავაჭრო ნიშნით გაყიდის (Originaldesignmanufacturing (ODM));
5. ნაკეთობების წარმოება და გაყიდვა საკუთარი მარკით (Original brand manufacturing (OBM))(Database, 2014). მაგალითად ტაივანური კომპანია hTC-იმ მობილური ტელეფონების ბაზარზე საქმიანობა OEM პოზიციაზე დაიწყო, თანდათან ის ODM სტრატეგიაზე გადაერთო და თავის პროდუქტებს ფიჭვური კავშირგაბმულობის კომპანიებს სთავაზობდა. 2006 წლიდან კომპანია OBM სტრატეგიას მისდევს და შესძლო საკუთარი სავაჭრო მარკის განვითარება.

წარმოების პროცესის სხვადასხვა რგოლის მნიშვნელობის ანალიზისათვის გამოიყენება ეგრეთწოდებული „მომღიმარი მრუდი" (Smile/Smiling Curve), რომელიც შემოთავაზებულ იქნა კომპანია Acer-ის დამფუძნებლის სტენ შის მიერ. მრუდზე კლასიკური საწარმოო პროცესისათვის დამახასიათებელი სტადიები მიმდევრობითაა განთავსებული,

სურათი 1. წარმოების ფრაგმენტაციის ილუსტრაციის სქემა



ხოლო თითოეულ ეტაპზე გამომუშავებული დამატებული ღირებულება მრუდს „მომღიმარ“ ფორმას აძლევს (სურ. 2.)(World Economic Forum, 2012). კერძოდ, მრუდი გვიჩვენებს, რომ თანამედროვე საერთაშორისო ბიზნესში ყველაზე მაღალი დამატებული ღირებულებით გამოირჩევა გლობალური ჯაჭვის საწყისი (კვლევა და განვითარება) და საბოლოო რგოლები (კლიენტების მომსახურება), ხოლო ყველაზე დაბალი დამატებული ღირებულება უშუალოდ მზა პროდუქციის წარმოების ეტაპს ახასიათებს. სურათი №2.

მიუხედავად იმისა, რომ მოცემულმა მრუდმა ფართო გავრცელება ჰპოვა სამეცნიერო ლიტერატურაში, მკვლევარები ხშირად მის პირობით ხასიათზე მიუთითებენ. საქმე ისაა, რომ მრუდი არ იძლევა ინფორმაციას საბოლოო პროდუქტის ფასში წარმოების ცალკეული რგოლის ზუსტი წილის შესახებ, რაც ბუნებრივია, განსხვავებულია ეკონომიკის სხვადასხვა დარგების მიხედვით.

ქვეყნები და კომპანიები შეიძლება განთავსდნენ დამატებული ღირებულების გლობალური ჯაჭვის საწყის, შუალედურ ან საბოლოო სტადიებზე თავისი სპეციალიზაციის შესაბამისად, მათი პოზიცია დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს. ერთნი მოიპოვებენ ბუნებრივ რესურსებს, აწარმოებენ ნედლეულს ან ინტელექტუალურ აქტივებს, მეორენი ანხორციელებენ მაკომპლექტებლების, კომპონენტების და კვანძების წარმოებას, სხვები კი სპეციალიზდებიან აწყობაზე, დისტრიბუციაზე, ბრენდინგსა და კლიენტების მომსახურებაზე.

გლობალური წარმოების პროცესის მაღალი დამატებული ღირებულების მქონე სტადიები ძირითადად განვითარებულ ქვეყნებშია კონცენტრირებული. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, აშშ–სა და იაპონიაში თანამედროვე ეტაპზე თვალსაჩინოა საწარმოო კომპლექსების უპირატესად არასაწარმოო ელემენტების განვითარება, მაგალითად, აშშ–სა და დასავლეთ ევროპაში შეინიშნება მანქანების და მოწყობილობების წარმოების შემცირების ტენდენცია. ამგვარად, თანამედროვე ეტაპზე ქვეყნების კლასიფიკაციის ტრადიციული მიდგომებს – განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნები, და განვითარებადი აგრარული ქვეყნები ცვლის ახალი მიდგომები, განვითარებული პოსტინდუსტრიული ქვეყნები და განვითარებადი ინდუსტრიული ქვეყნები. თანამედროვე ეტაპზე სამართლიანია ვისაუბროთ განვითარებული ქვეყნების „ინდუსტრიულ“, დანამატ ქვეყნებზე. ამის თვალსაჩინო მაგალითებია მექსიკური და ჩინური ფაბრიკა–ქარხნები, რომლებიც მაღალგანვითარებული ქვეყნების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურებიან.

ბოლო ათწლეულებში დასავლეთ ევროპის ქვეყნები ექსპორტის სწრაფი ზრდით გამოირჩეოდნენ, ამასთან მათი წილი სამრეწველო პროდუქციის წარმოებაში ეცემოდა. ამ სიტუაციის ანალიზისას, გერმანელმა ეკონომისტმა ხანს ვერნერმა შემოიტანა „ბაზრული ეკონომიკის“ ცნება – ეკონომიკა, რომელიც სპეციალიზდება პროდუქციის შეფუთვასა და გაყიდვაზე ანუ დამატებული ღირებულების გლობალური ჯაჭვის ბოლო სტადიებზე. „ბაზრული ეკონომიკის“ თვალსაჩინო მაგალითია გერმანია. წარსულში გერმანია მსოფლიოს ერთ–ერთძირითად „ფაბრიკად“ გვევლინებოდა, თანამედროვე ეტაპზე კი პოზიციებს ვაჭრობაში იმყარებს (OECD, 2013). ელექტროტექნიკის წარმოება თითქმის მთლიანად აზიაში იქნა გადატანილი, ის ავტომობილებიც კი, რომელთა აწყობა კვლავ გერმანიაში ხდება მთლიანად აღმოსავლეთ ევროპაში დამზადებულ მაკომპლექტებლებს ეფუძნება. ანალოგიური სიტუაციაა დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებშიც. უცხოური ნახევარფაბრიკატების წილი, რომელიც შიდა დამუშავებისათვის არის განკუთვნილი, ყველა დასავლეთ ევროპის ქვეყანაში გაიზარდა. ეს ნიშნავს, რომ „ბაზრული ეკონომიკა“ საერთო ევროპული ფენომენია.

დასკვნა

წარმოების გლობალური ფრაგმენტაციის პროცესი არსებითად ცვლის საერთაშორისო ბიზნესისა და ვაჭრობის ფილოსოფიას. წარმოების გლობალური ფრაგმენტაციის პროცესში აქტიურად არიან ჩართული როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნები, მათი ეკონომიკური მდგომარეობიდან და ტექნოლოგიური დონიდან გამომდინარე. თუმცა ამ ქვეყნების მონაწილეობის ხარისხი, პოზიცია და შესაბამისად მიღებული სარგებელი, განსხვავებულია. წარმოების გლობალური ფრაგმენტაციის პროცესის ანალიზისაშუალებას გვაძლევს გამოვკვეთოთ ის ფაქტორები,

სურათი 2. „მომღიმარი მრუდი“



რომელიც დამატებული ღირებულების გლობალურ ჯაჭვებ–ში ქვეყნის მონაწილეობის ეფექტიანობის ამაღლებას უზრუნველყოფს. ქვეყნები ცდილობენ ფოკუსირება მოახდი–ნონ დამატებული ღირებულების გლობალური ჯაჭვის საწყის, მაღალტექნოლოგიურ და საბოლოო მომხმარებელთან ახლოს მდებარე რგოლებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Database, W. I.-O. (2014). http://www.wiod.org/new_site/home.htm. (ნანახია: 20.03.2018).
2. International Bank for Reconstruction and Developmen. (2017). Global Value Chain Development Report. Washington: The World Bank.
3. Langlois, R. N. (2002). Firms, Markets and Economic Change: A Dynamic Theory of Business Institutions.
4. Meskhia, I., & Shaburishvili, S. (2015). Basics of Researche of the Technological Environment of Business. Zeszyty Naukowe UNIWERSYTETU PRZYRODNICZO-HUMANISTYCZNEGO w SIEDLCACH, Seria: Administracja i Zarządzanie , 117-124.
5. OECD. (2013). Interconnected economies: benefiting from global value chains: Synthesis Report. URL:http://www.oecd.org/sti/ind/interconnected-economies-GVCs-synthesis.pdf. (ნანახია: 03.03.2018).
6. Penrose, E. T. (2009). he Theory of the Growth of the Firm. Oxford University Press.
7. UNKDAT. (2013). Global Value Chains: Investment and Trade for Development. New York and Geneva: World Investment Report.
8. World Economic Forum. (2012). The Shifting Geography of Global Value Chains: Implications for Developing Countries and Trade Policy.
9. შაბურიშვილი, შ. (2018). დამატებული ღირებულების გლობალური ჯაჭვის ფენომენი თანამედროვე საერთაშორისო ბიზნესში. ეკონომიკა და ბიზნესი , 70–85.

THE PECULIARITIES OF MANUFACTURING PROCESS GLOBAL FRAGMENTATION IN THE MODERN BUSINESS

SHOTA SHABURISHVILI
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
shota.shaburishvili@tsu.ge

https://doi.org/10.35945/gb.2018.05.026

KEYWORDS: FRAGMENTATION OF MANUFACTURING, VERTICAL INTEGRATION, OUTSOURCING, SMILING CURVE

SUMMARY

The paper considers the main theoretical approaches to understanding global fragmentation of manufacturing processand analyzes their role in the modern International business. It is emphasized that in view of the growing political and economic importance of manufacturing process global fragmentation, today this phenomenon is in the focus of many countries and international institutions.There are analyzed mechanisms of coordination, structure, the importance of individual points and the effectiveness of possible positions of the company inglobal fragmentation of manufacturing process.